

№2-001

21.09.2011

სურსათის ეროვნულ სააგენტოს

მარშალ გელოვანის გამზირი 6

გაცნობებით, რომ "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის" მიერ "შვედეთის განვითარების სააგენტოს" სახსრებიდან დაფინანსებული პროექტის "მომხმარებლები სასურსათო პროდუქტებს აკონტროლებენ" ფარგლებში ჩვენი ორგანიზაციის მიერ სასურსათო პროდუქტების მომხმარებლებისთვის ორგანიზებულია "სურსათის ცხელი ხაზი", რომელზეც ჩვენ ვიღებთ და ვამოწმებთ მომხმარებელთა საჩივრებს სურსათთან დაკავშირებით, შემდეგი საშუალებებით: ზარები ტელეფონზე 219-42-42, სპეციალური საჩივრის ფორმა ფეისბუქის <http://www.facebook.com/momxmarebeli.ge> გვერდზე, აგრეთვე კომენტარები [www.momxmarebeli.ge](http://www.momxmarebeli.ge) პორტალზე. ამ საშუალებებით შემოსულ საჩივრებს ჩვენ ოპერატიულად ვამოწმებთ და შედეგებს ვაშუქებთ ვებ-პორტალზე [www.momxmarebeli.ge](http://www.momxmarebeli.ge). ინფორმაცია შემოწმებების შედეგების შესახებ აგრეთვე ეგზავნება შესაბამის მეწარმეებს. იმ შემთხვევაში, თუკი ჩვენი შემოწმებით აღმოჩნდა კანონმდებლობის დარღვევა, ჩვენ ამის შესახებ აგრეთვე ვაცნობებთ სურსათის უვნებლობის სააგენტოს.

16-19 სექტემბერს აღნიშნულ "ცხელ ხაზზე" შემოვიდა საჩივრები იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის მაღაზიებში იყიდება დაფასოებული კვერცხი, რომელის ეტიკეტზეც გამოშვების თარიღი მითითებული არ არის. მომხმარებელთა პრეტენზიების გადამოწმების მიზნით, ჩვენ შევისყიდეთ საჩივარში მითითებული რამოდენიმე სახის შეფუთული კვერცხი, მომხმარებლების მიერ მითითებულ მაღაზიებში და შევამოწმეთ, დატანილია თუ არა ეტიკეტზე გამოშვების თარიღი. ჩვენი შემოწმების შედეგები ასახულია ცხრილში:

პროდუქტი	კვერცხი "საგარეჯო" (მწარმოებელი "საგარეჯო-2009")	კვერცხი "დილა" (მწარმოებელი "დილის პროდუქტები")	კვერცხი "სავანეთი" I კატეგორია (მწარმოებელი უცნობია)	კვერცხი "სავანეთი" II კატეგორია (მწარმოებელი უცნობია)
მაღაზია				
"ნიკორა" (საბურთალოს ქ. 32, შესყიდვა		გამოშვების თარიღი აწერია	აწერია ვარგისიანობის თარიღი,	

მომხმარებელი.გე

www.momxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს

განხორციელდა 20 სექტემბერს)			გამოშვების თარიღი არ აწერია	
"იოლი" (ბახტრიონის ქ. 8შესყიდვა განხორციელდა 20 სექტემბერს)	გამოშვების თარიღი აწერია		გამოშვების თარიღი არ აწერია	გამოშვების თარიღი არ აწერია
"გრანდი" (ვაჟა-ფშაველას გამზ. 34, შესყიდვა განხორციელდა 16 სექტემბერს)	გამოშვების თარიღი არ აწერია		გამოშვების თარიღი არ აწერია	
"უნიკორი" (ვაჟა-ფშაველას გამზ. 28, შესყიდვა განხორციელდა 16 სექტემბერს)		გამოშვების თარიღი არ აწერია	გამოშვების თარიღი არ აწერია	

აღმოჩენილი დარღვევების შესახებ ჩვენ ვაცნობთ მაღაზიებს, რომელშიც შევისყიდეთ კვერცხი და აგრეთვე მეწარმეებს, რომელთა წარმოების კვერცხიც იქნა შესყიდული. მაღაზია "გრანდმა" დაგვირეკა "ცხელ ხაზზე" და გვაცნობა, რომ ჩვენი შეტყობინების მიღებისთანავე, მითითებული ნაკლოვანების გამოსწორების მიზნით მან გაყიდვიდან ამოიღო შეფუთული კვერცხი, რომელზეც გამოშვების ვადა მითითებული არ არის.

გვინდა ცალკე აღვნიშნოთ, რომ შეფუთულ კვერცხზე დასახელებით "სავანეთი" ჩვენ აღმოვაჩინეთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დარღვევა - ეტიკეტზე საერთოდ არ არის მითითებული კვერცხის მწარმოებელი.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია სურსათის სახელმწიფო ინსპექტირების და სურსათის ბაზრის მონიტორინგისას. გთხოვთ გვაცნობოთ ამ ინფორმაციაზე თქვენი რეაგირების შესახებ, რათა ჩვენ შევძლოთ უფრო მეტად გავააქტიუროთ მოქალაქეთა ჩართულობა სურსათის ბაზრის სამოქალაქო კონტროლში.

პატივისცემით

ლია თოდუა

პროექტის დირექტორი

პროექტი: "მომხმარებლები სასურსათო პროდუქტებს აკონტროლებენ"